სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №25
გამარტივებული შესყიდვა

ქ. ბათუმი **27 მარტი 2019 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ **ი/მ მურმან შუშანიძე** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მურმან შუშანიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე’ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.2. „ხელშეკრულების საერთო ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“–ხელშეკრულებისმე-2 მუხლითგათვალისწინებულიხელშეკრულებისსაგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“-ს ბალანსზე რიცხული: მერსედეს-ბენც სპრინტერის მარკის ავტომობილისათვის (სახ.ნომერი "SS-918-MM) საწვავის, ზეთისა და ჰაერის ფილტრების (CPV42913000 - ზეთის, ბენზინისა და შემავალი ჰაერის ფილტრები) და ძრავის ზეთის (CPV09211100 - ძრავის ზეთები) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 185,00 (ას ოთხმოცდახუთი) ლარს,

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულიფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომასხურებისმიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურებისმიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირებია:

ა) როინ მიქელაძე – სააგენტოს მძღოლი.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს როინ მიქელაძე - სააგენტოს მძღოლი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ერთი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ,

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულებაძალაშიშედის გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები და იურიდიული მისამართები:

ა(ა)იპ "ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო"	ი/მ ,,მურმან შუშანიძე"
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ.N219
საიდენტიფიკაციო კოდი: 445388054	*საიდენტიფიკაციო კოდი - 61006020894*
სახელმწიფო ხაზინა	*სს ,,საქართველოს ბანკი"*
ბანკის კოდი – TBCBGE22	*ბანკის კოდი – BAGAGE22*
ა/ნ – GE62TB7901736010100015	*ანგარიშის N: GE25BG0000000179685100*
დირექტორი	**ინდივიდუალური მეწარმე**
_____ /თინათინ ზოიძე/ ბ.ა.	_____ /მურმან შუშანიძე/ ბ.ა.

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება ტექნიკური მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	CPV42913000 - ზეთის, ბენზინისა და შემავალი ჰაერის ფილტრები	ფილტრი ზეთის Hengst E11H02D155	ცალი	1	25,00	25,00
2		ფილტრი ჰაერის E133L(AM418)	ცალი	1	40,00	40,00
3	CPV09211100 - ძრავის ზეთები	ძრავის ზეთი,10W40, 208 ლ კასრით. ნახევრადსინთეტიკა	ლიტრი	10	12,00	120,00
	სულ ჯამი		ლარი			**185,00**

დირექტორი

თინათინ ზოიძე_____

დირექტორი

მურმან შუშანიძე _____